

საქართველოს პრეზიდენტის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა
N 391 1997 წლის 22 აგვისტო ქ.თბილისი

ჩხოროწყუს რაიონში განთავსებულ ლტოლვილთა
და ადგილობრივი მოსახლეობისათვის სოციალური
დახმარების გაწევის შესახებ

1. საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრომ (ბ.გულუა) ჩხოროწყუს რაიონს სოციალური დახმარების მიზნით უსასყიდლოდ გამოუყოს იტალიიდან ჰუმანიტარული დახმარების სახით შემოსული პროდუქცია რაიონში განსახლებული ლტოლვილებისათვის - 9050 ლიტრი მცენარეული ზეთი (1 ოჯახზე - 5 ლიტრი), 26,5 ტონა ბრინჯი (1 სულზე - 5 კგ), ადგილობრივი მოსახლეობისათვის - 32,7 ტონა ხორბლის ფქვილი (1 სულზე - 1 კგ) და 49,05 ტონა ბრინჯი (1 სულზე - 1,5 კგ). 2. მოსახლეობისათვის გათვალისწინებული 32,7 ტონა ხორბლის ფქვილის შესაძენად საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრომ გამოიყენოს იტალიიდან ჰუმანიტარული დახმარების სახით შემოსული პროდუქციის რეალიზაციის შედეგად ამოღებული თანხები.

3. ჩხოროწყუს რაიონის გამგეობამ (ზ. ხუნტუა) უზრუნველყოს გამოყოფილი სურსათის დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოები, ტრანსპორტირების ღირებულების ანაზღაურება და პროდუქციის მისამართული განაწილება.

ე.შევარდნაძე